პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 2
(7563)

3 1984 წ.
იანვარი.
სამშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ახალგაზრდებმა უფროსებთან ერთად ვაჟკაცურად იტვირთეს დიდი პასუხისმგებლობა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა საერთო გამარჯვებაში.

ხვალის იმედით გაცისკროვნებული დღესასწაული

მგზნებარება, სიხალისე, ოპტიმიზმი, გამბედაობა, შემოქმედების, აღმშენებლობის სურვილი — საქართველოს კომკავშირელების, ქალიშვილებისა და ჭაბუკების ეს თვისებები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად წარმოადგინა 31 დეკემბერს თბილისში, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გაშლილმა ექსპოზიციამ. ეს იყო შესანიშნავი პროლოგი აქ გამართული საახალწლო ახალგაზრდული მეჯლისისა, რომელიც უკანასკნელ წლებში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა და რესპუბლიკის ახალგაზრდობის ნათელ დღესასწაულად, ხვალის იმედით გაცისკროვნებულ დღესასწაულად იქცევა ხოლმე.

ხვალინდელ დღეზე ოცნებით ცხოვრობს მისი მონაწილე მაია ვარძიაშვილი. მან აირჩია ერთი იმ 320 მუშურ პროფესიათაგან, რომლის დაუფლება შეიძლება საქართველოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. თბილისის №24 პროფტექნიკური სასწავლებლის ფრიადოსანი მომავალ წელს კვალიფიციურ მრთველად დაიწყებს მუშაობას კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“. ჯერჯერობით კი იგი სიამაყით გვიამბობს თავის დღევანდელ საქმეებზე, თანატოლებზე, რომლებიც უკვე ახლა ქსოვენ საუცხოო ხალიჩებს, ქმნიან უნიკალურ ნამუშევრებსა და მანიპულატორებს.

იზრდება ღირსეული ცვლა, რომელიც ხვალ მოვა საწარმოებსა და მშენებლობებზე, მინდვრებსა და ფერმებში, სამეცნიერო ლაბორატორიებსა და შემოქმედებით სახელოსნოებში. ამ ცვლას შეემატება ახალგაზრდა მუშათა რიგები, რომლებიც დღეს რესპუბლიკას სახელს უთქვამენ. მათ წარმომადგენლობს თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლიანა რაზმაძე.

—ეს-ეს არის დავბრუნდი მოსკოვიდან, სადაც ვმონაწილეობდი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის მუშაობაში, —ამბობს იგი.— სესიის წინ გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლის ტექსტში ჩამოყალიბებულმა დებულებებმა და დასკვნებმა განსაზღვრეს მთელი ჩვენი მუშაობის შინაარსი. მათ დაგვისახეს ქვეყნის, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების აქტუალური პრობლემების გადაჭრის ზუსტი ორიენტირი. ახლა მთავარი დამოკიდებულია ჩვენზე, იმაზე, თუ როგორ მოიხდის თითოეული ჩვენგანი თავის პატრიოტულ ვალს.

კეთილსინდისიერი, მაღალნაყოფიერი შრომით არის აღნიშნული სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობის მექანიზატორის ლალი ოტიაშვილის ყოველი დღე. საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, პაშა ანგელინას სახელობის პრიზის მფლობელი, იგი აქ თანატოლებს სოფლის ახალგაზრდობის სახელით ესაუბრება.

მეთერთმეტე ხუთწლედის გვარდიელმა, მოწინავე მექანიზატორმა, ისევე, როგორც მისმა ოთხი ათასმა ამხანაგმა, ლალიმ მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშში დაიწყო მუშაობა. ეს კი ნიშნავს, რომ უფრო მნიშვნელოვანი, უფრო გულუხვი იქნება ქართული მიწის ნობათი, რომელიც ასე ფართოდ და მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი ექსპოზიციაში. მათ შორისაა ლიმონის ხეები, რომლებიც ფრთხილად ჩამოუტანიათ აქ... ლაგოდეხიდან. ეს სათუთი მცენარე წელს „დამკვიდრდა“ იმ უმარტივესი ტიპის ლიმონარიუმების კიდევ 70 ჰექტარზე, რომლებიც კომკავშირელებმა გააშენეს თბილი სუბტროპიკებისაგან მოშორებულ რაიონებში.

ექსპოზიცია მოგვითხრობს სტუდენტური სამშენებლო რაზმების დამკვრელურ მუშაობაზე და სრულიად საკავშირო აქციაში „მილიონი — სამშობლოს“ ნორჩ ლენინელთა მონაწილეობაზე, სახელგანთქმული სპორტსმენების მიერ მოპოვებულ მედლებსა და დიპლომებზე და იმ გასართობი ატრაქციონების ორიგინალურ პროექტებზე, რომლებიც მომავალმა არქიტექტორებმა — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა შექმნეს პიონერული ქალაქის „მზიურისათვის“...

ცხოვრებაში ყოველთვის შეიძლება გამოიჩინო გმირობა —ეს საქმით დაამტკიცეს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებმა მალხაზ ფოლადიშვილმა და კუკური დალაქიშვილმა. შარშან ზაფხულში სამშენებლო რაზმის მებრძოლებმა თავი გამოიჩინეს სმოლენსკის ოლქში. მალხაზმა დახრჩობას გადაარჩინა ბავშვი, ხოლო კუკურიმ ხანძრისაგან იხსნა სახალხო დოვლათი. თავისებური გმირობა, მაგრამ უკვე სტუდენტურ მეცნიერებაში ჩადენილი გმირობა შეიძლება ვუწოდოთ გამოფენაზე წარმოდგენილ ვიდეოსატელეფონო სადგურის მაკეტს, რომელიც შექმნეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მომავალმა კავშირგაბმულობის ინჟინრებმა და ამ მაკეტის ანალოგი ამ დღეებში წარმოდგენილია ჟენევაში გამართულ მსოფლიო გამოფენაზე „ტელეკომი-83“.

ექსპოზიცია გვაცნობს 13 წლის ქუთაისელ გამომგონებელს თამრიკო ლობჟანიძეს, რომელმაც გამოიგონა ხის დამმუშავებელი სპეციალური დაზგა. ეს დაზგა აღინიშნა № 96784 საავტორო მოწმობით და კარგ სამსახურს გაუწევს თბილისის ხის დამმუშავებელი კომბინატის კოლექტივს. თამრიკოს თანატოლები რუსუდან ფეტვიაშვილი და არჩილ ვეფხვაძე დამწყები მხატვრები არიან, მაგრამ უკვე ფართოდ გაითქვეს სახელი. ამ თბილისელი მოსწავლეების ნამუშევრები, რომლებიც წარმოდგენილია საახალწლო მეჯლისის მონაწილეთა წინაშე, აღნიშნულია არა მარტო რესპუბლიკური, არამედ საკავშირო, საერთაშორისო ბავშვთა შემოქმედების გამოფენების პრიზებითა და დიპლომებით.

ამ გამოფენამ, რომელიც ზუსტად გადმოგვცემს ჩვენი ახალგაზრდობის მჩქეფარე ცხოვრების მაჯისცემას, აგრეთვე გამოხატა საქართველოს კომუნისტთა დიდი დაინტერესება რესპუბლიკის ხვალინდელი დღით, ჯანმრთელი, ძალ-ღონით აღსავსე, იდეურად გამოწრთობილი თაობის ჩამოყალიბებით, რომელიც მზად არის შრომისა და გმირობისათვის.

ახალგაზრდობის ცხოვრებისადმი, მისი საქმეებისა და საზრუნავისადმი შეუნელებელი პარტიული ყურადღების გამოხატულება გახდა ისიც, რომ საახალწლო დღესასწაულში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები. დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ე. ა. შევარდნაძეს, გ. ა. ანდრონიკაშვილს, გ. დ. გაბუნიას, პ. გ. გილაშვილს, გ. ნ. ენუქიძეს, ჯ. ი. პატიაშვილს, ტ. ვ. როსტიაშვილს, დ. ლ. ქართველიშვილს, ო. ე. ჩერქეზიას, ზ. ა. ჩხეიძეს, ნ. ა. ჭითანავას, ს. ე. ხაბეიშვილს, თ. ი. მოსაშვილს, ქ. კ. მარტავას, ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ მუშაკებს, ახალგაზრდობის სახელგანთქმულ დამრიგებლებს. ისინი აქ მოვიდნენ, რათა საქართველოს ორდენოსან კომკავშირს, რესპუბლიკის ახალგაზრდობას მიულოცონ მიმავალ წელს მიღწეული წარმატებები, უსურვონ მათ საგაისოდ ახალი დიდი გამარჯვებები.

მესამე, ხუთწლედის შუაგულ წელს საქართველოს კომკავშირის, ახალგაზრდობის სახელოვან საქმეთა და მიღწევათა ფართო პანორამა გადაიშალა დღესასწაულის მონაწილეთა წინაშე. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის წარმომადგენლები, მოსწავლეები, მეომრები, სტუდენტები, ახალგაზრდა მეცნიერები და შემოქმედნი, სპორტსმენები ანგარიშს აბარებდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელებს იმის შესახებ, თუ როგორ იცხოვრეს მიმავალ წელს, რა გეგმებს ისახავენ მომავალი, 1984 წლისათვის. ეს იყო ამაღელვებელი ნაამბობი, რომელმაც კვლავ დაამტკიცა: რესპუბლიკის მომავალი საიმედო ხელშია.

დღესასწაულის მონაწილეების, კომკავშირელების, საქართველოს მთელი ახალგაზრდობის სახელით ძვირფას სტუმრებს გულითადად მიესალმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გ. ლორთქიფანიძე, მან მხურვალე მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას, მის ცენტრალურ კომიტეტს მოზარდი თაობისადმი მამობრივი ყურადღებისა და ზრუნვისათვის, აღუთქვა, რომ საქართველოს კომკავშირელები, ქალიშვილები და ჭაბუკები კვლავაც ღირსეულად განაგრძობენ და ამრავლებენ პარტიისა და ხალხის შესანიშნავ რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებს.

ახალგაზრდებს ახალი წელი მიულოცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

უკვე მეხუთედ ვხვდებით ჩვენ ერთმანეთს ახალი წლის წინ, თქვა მან. ეს ძალზე კარგი ტრადიციაა — უფროს თაობათა წარმომადგენლების საახალწლო შეხვედრა ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილთან, პრაქტიკულად ჩვენს მომავალ თაობასთან. ეს-ესაა მოვისმინეთ მუშა, სოფლის, მოსწავლე ახალგაზრდობის, პროფტექნიკური სასწავლებლების აღსაზრდელების, ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერების ამაღელვებელი ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობდნენ და შრომობდნენ 1983 წელს, რა მიღწევებით შეეგებნენ დღევანდელ დღეს. ეს ნაამბობი გვარწმუნებს, რომ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი სამშობლოს მომავალი საიმედო ხელშია.

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე შეეხო მომავლის წინაშე კომკავშირისა და ახალგაზრდობის უდიდეს პასუხისმგებლობას: სადაცაა დადგება ოცდამეერთე საუკუნე, და ახალგაზრდა თაობამ უნდა გაიაზროს და შეიგნოს ის უდიდესი როლი, რომელიც უნდა შეასრულოს უკვე ახლო მომავალში.

უფროს თაობათა კომუნისტების სახელით ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ გულითადი მადლობა გადაუხადა ახალგაზრდა მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

— მადლობას გიხდით, — თქვა მან, — კეთილსინდისიერი შრომისათვის, კარგი სწავლისათვის, სამშობლოსადმი ერთგულებისათვის, თავდადებისათვის, თანამოსაგრეობისათვის ჩვენს საერთო მუშაობაში, ჩვენს საერთო ბრძოლაში.

დღეს აქ მთელი ახალგაზრდობაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ამ შეხვედრაზე ვხედავ ახალგაზრდა მშობლებს, რომლებიც აქ მოვიდნენ შვილებთან ერთად. ახალგაზრდა დედებსა და მამებს შორის ბევრია მუშა, კოლმეურნე, სტუდენტი. ძნელია თან იმუშაო და ისწავლო და თან სამშობლოსა და ხალხს კარგი მამულიშვილები აღუზარდო, ძნელია, მაგრამ აუცილებელი! აქ მყოფი ახალგაზრდა მშობლები ამის ჩინებულ მაგალითს იძლევიან.

დაახასიათა რა 1983 წლის რთულ პირობებში რესპუბლიკის მიერ მიღწეული წარმატებები, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ხაზი გაუსვა: რესპუბლიკის კომკავშირელებმა, ახალგაზრდებმა უფროსებთან ერთად ვაჟკაცურად იტვირთეს დიდი პასუხისმგებლობა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა საერთო გამარჯვებაში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამ გამარჯვებას მაღალი შეფასება მისცა.

ახალგაზრდობამ ბევრი რამ უნდა გააკეთოს ახალ, 1984 წელს. მას შესწევს უნარი აქტიური და ქმედითი მონაწილეობა მიიღოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლაში დასახული ამოცანების შესრულებაში. დაე, რესპუბლიკის ახალგაზრდობისადმი საახალწლო მილოცვა, მისთვის ბედნიერებისა და გამარჯვებათა მოპოვების სურვილი მამობრივი დარიგება იყოს კომუნისტური აღმშენებლობის ყველა უბანზე ახალი გამარჯვებებისა და მიღწევების წელს.

დიდებულად ჟღერს „მრავალჟამიერი“.

გონებამახვილობა და გამომგონებლობა შემატეს საახალწლო მეჯლისის ორგანიზატორებმა სადღესასწაულო საღამოს ატმოსფეროს, რომელიც დიდხანს დაამახსოვრდებათ მის მონაწილეებს. ეს იყო რესპუბლიკის საუკეთესო შემოქმედებითი ძალების მონაწილეობით საკონცერტო ნომრების კასკადი. ლირიკული სიმღერა და ხალისიანი ლექსი, მომაჯადოებელი მელოდია და ცეცხლოვანი რიტმები იყო გამეფებული მშვენიერი მერმისის იმედით აღსავსე ახალგაზრდობის ამ ნათელ დღესასწაულზე. (საქინფორმი).

გადაჭარბებით!

სპორტსაზოგადოება „განთიადის“ თბილისის საქალაქო საბჭომ შეაჯამა ფიზკულტურული კოლექტივების 1983 წლის შედეგები. მოწინავეთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო აღმოჩნდა მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ (დირექტორი თ. ტეტუნიშვილი, — პარტორგანიზაციის მდივანი ო. ნადირაძე, პროფკავშირების თავმჯდომარე ნ. ბარლიშვილი) სპორტკლუბი „ივერია“ (კლუბის თავმჯდომარე ლ. ძიძავა).

ხუთწლიანი გეგმის მიხედვით	გეგმა	შესრულება
სსრკ სპორტის ოსტატი	1	2
სპორტის ოსტატობის კანდიდატი	4	5
I თანრიგი	24	25
მასობრივი თანრიგოსანი	248	411
მშთ ნიშნოსანი	250	487

გარდა ამისა, მომზადებულია 2128 ფიზკულტურელი, 2360 ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების წევრი, 225 საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრის მუშაკი. სექციებში მეცადინეობს 1340 კაცი, საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულია 2194, ტურიზმში — 649, ჯანმრთელობის ჯგუფებში — 58, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით — 496, აქედან 202 ბავშვი.



ახალი სეზონის კონტურები

— **1984 წლის** სპორტულ სეზონში ჩვენი რესპუბლიკის „კლასიკოსებს“ არაერთ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში მოუწევთ გამოსვლა, — გვითხრა საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა კლასიკურ ჭიდაობაში **ო. ბლიაძემ**, — უკვე 8 იანვრიდან იწყება სპორტულ საზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების პირველობები. 1-5 თებერვალს კი მინსკში გაიმართება სსრ კავშირის ჩემპიონატი. ამ შეჯიბრებაში სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები იასპარეზებენ. ვვარაუდობთ, რომ საკავშირო ჩემპიონატზე ჩვენი რესპუბლიკის 15-17 მოჭიდავე გამოვა. თებერვალ-მარტში ჩვენი უძლიერესი ფალავნები მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო საერთაშორისო ტურნირებში.

ცხადია, ამ ასპარეზობათა შედეგებზე დიდად იქნება დამოკიდებული, ვინ მოხვდება საბჭოთა კავშირის ნაკრებში. აპრილში შვეცია უმასპინძლებს ევროპის ჩემპიონატს, ოლიმპიური თამაშების წინ კი მოეწყობა პოდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირი. ცხადია, ჩვენი მთავარი ორიენტირი ოლიმპიური თამაშებია. რამდენიმე ქართველ ფალავანს აქვს შანსი ოლიმპიურ გუნდში დაიმკვიდროს ადგილი.

სურათებზე: ოლიმპიური ჩემპიონის, მსოფლიო ოთხზის ჩემპიონის, უდიდესი საჭიდაო გამოცდილების მქონე რ. რურუას ნებისმიერ შენიშვნასა თუ რჩევას დიდი ფასი აქვს ხალიჩის ისეთი ოსტატისათვისაც კი, როგორიც თ. ყაზარაშვილია; ორმხრივი საკონტროლო ორთაბრძოლები.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

სპეციალისტის ტრიბუნა

მნიშვნელოვანი ფაქტორი

სამთომოთხილამურის ფსიქოლოგიური მომზადება

ხშირად ხდება, რომ სპორტსმენი, რომელიც ჩვეულებრივ კარგი ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური თუ თეორიული მომზადებით გამოირჩევა, მაგრამ შეჯიბრებაში მაქსიმალურად მაინც ვერ ავლენს თავის შესაძლებლობებს და მარცხდება დაახლოებით თანაბარი ძალის ან შედარებით სუსტ მეტოქესთანაც. რა არის ამის მიზეზი? ცხადია, მისი ფსიქოლოგიური მომზადების დონე, რაც სპორტისა და ფიზიკური აღზრდის ფსიქოლოგიის კარდინალური მნიშვნელობის პრობლემათა რიგს მიეკუთვნება. სპეციალისტების აზრით იგი საჭიროებს სათანადო შესწავლას, დახვეწასა და სრულყოფას, ვინაიდან დღეისათვის არ არსებობს ფსიქოლოგიური მომზადების ყველასათვის მისაღები საერთო სქემა, რომლითაც იხელმძღვანელებდა სპორტის სხვადასხვა სახეობებით დაინტერესებული სპეციალისტი.

საყოველთაოდაა აღიარებული ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მიღწევები ფსიქოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა 'დარგებში, მათ შორის სპორტის ფსიქოლოგიაში, რომელსაც საფუძველი საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრაზე ჩაეყარა. აღნიშნული კათედრის თანამშრომლები — პროფესორი ვ. ნორაკიძე, დოცენტი გ. დვალი, მასწავლებელი ე. ხორბალაძე და სხვები ქმედით პრაქტიკულ დახმარებას უწევენ სამთო-სათხილამურო სპორტში მომუშავე მწვრთნელებს რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრების ფსიქოლოგიური მომზადების გაუმჯობესების საქმეში. ეს წერილი სწორედ პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის და სათხილამურო სპორტისა და ალპინიზმის კათედრების არაერთი წლის შემოქმედებითი თანამშრომლობის საფუძველზე და სხვა სპეციალისტთა გამოკვლევებზე დაყრდნობით დაიწერა. გვსურს ზოგიერთი რჩევა-დარიგება შევთავაზოთ სამთო-სათხილამურო სპორტში მომუშავე მწვრთნელებს, რომლებსაც საწვრთნელი პროცესის ძირითადი პერიოდი დაუდგათ და მათ 1986 წლის მარტში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის VI სპარტაკიადაში თავიანთი უძლიერესი სპორტსმენებით რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა მოუწევთ. დასამალი არ არის, რომ ხშირად მწვრთნელებს უჭირთ სპორტსმენების ფსიქოლოგიური მომზადების სწორი გზების გამონახვა, რაც ხანგრძლივ მზადებას ზოგჯერ რამდენადმე უშედეგოს ხდის, ზოგჯერ კი დიდი სპორტისათვის გვაკარგვინებს მზარდ და პერსპექტიულ სამთომოთხილამურეებს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ყოვლისმომცველობის პრეტენზია არა გვაქვს. როგორც იტყვიან, ერთი ხელის მოსმით არ შეიძლება სამთომოთხილამურეების ფსიქოლოგიური მომზადების ყველა პრობლემა გადავწყვიტოთ, მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, გვსურს შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ მწვრთნელს ამ პრობლემის გადაჭრის საქმეში.

ცხადია, სასურველია, ვფიქრობთ აუცილებელიც, რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებზე, განსაკუთრებით სპორტის ისეთ სახეობებში, რომლებიც მეტისმეტი ემოციურობითა და გარკვეული რისკით გამოირჩევა, მუდმივად იყოს მიმაგრებული სპეციალისტი-ფსიქოლოგი, მაგრამ ამის შესაძლებლობა ყოველთვის როდი არსებობს. ამიტომ, ნაკრები გუნდის თითოეულ მწვრთნელს უნარი უნდა შესწევდეს დამოუკიდებლად წარმართოს ფსიქოლოგიური მომზადების ზოგიერთი ღონისძიება.

* * *

საბრძოლო მზადყოფნა ხასიათდება ემოციური აღგზნების ოპტიმალური დონით, ნივთიერებათა ცვლის პროცესების სწრაფფუნქციონირების გაზრდით, კარგი და მხნე გუნება-განწყობით, საკუთარი თავის რწმენით და ა. შ. მწვრთნელი ყველა ღონეს უნდა ხმარობდეს იმისათვის, რომ სპორტსმენი სწორედ საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში ხვდებოდეს ყველა სახის შეჯიბრებას, განსაკუთრებით სეზონის ძირითად სტარტებს.

სასტარტო ციებ-ცხელებას ახასიათებს სპორტსმენის ჭარბი აღგზნება, საკუთარი შესაძლებლობების არასწორად შეფასება, ქცევაზე თვითკონტროლის დაქვეითება, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა, მოუფიქრებელი და ნაჩქარევი ტაქტიკური გადაწყვეტილებები და ა. შ.

წინასასტარტო აპათია სასტარტო ციებ-ცხელების საპირისპირო ფსიქიკური მდგომარეობაა. ამ დროს სპორტსმენს მოერევა ძილი, იგი მოთენთილია, ხშირად ამთქნარებს, რეაქციისა და მოძრაობის კოორდინაცია უქვეითდება, უსუსტდება ყურადღების ინტენსივობა, კლებულობს ინტერესი მომავალი შეჯიბრებებისადმი, აქვს ცუდი გუნებაგანწყობილება, ეჭვი ეპარება საკუთარ შესაძლებლობებში და ა. შ.

აქ არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ გარემოებას, რომ მეტნაკლებად ყველა მწვრთნელი თავის გამოცდილებაზე და ინტუიციაზე (ალღოზე) დაყრდნობით თავის აღსაზრდელებთან ატარებს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც რამდენადმე ხელს უწყობენ მათს ფსიქოლოგიურ მზადყოფნას და აქედან გამომდინარე მათი შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური შედეგების ჩვენების უზრუნველყოფას. საგულისხმოა ისიც, რომ დაკვირვებული და გამოცდილი სპორტსმენები გარკვეულწილად ახერხებენ თვითონ არეგულირონ ფსიქიკური მდგომარეობა, რის შედეგადაც მათ ნაკლებად შეემჩნევათ სასტარტო ციებ-ცხელების ან აპათიის ნიშნები, მაგრამ ამ კატეგორიის სპორტსმენებთანაც კი არ იქნებოდა სწორი თვითდინებაზე მიგვეშვა ეს საქმე, რადგან წინასასტარტო აპათია, ისევე როგორც სასტარტო ციებ-ცხელება, უარყოფითი ფსიქიკური მდგომარეობაა და ბუნებრივია, საჭიროებს სათანადო რეგულირებას, რასაც მწვრთნელი ახერხებს, ან უნდა ახერხებდეს სპეციალური მოთელვის, მასაჟების, ღრმა სუნთქვითი ვარჯიშების, აუტოგენური წვრთნის, სპეციალური საუბრებისა და რიგი სხვა საშუალებების გამოყენების გზით.

წვრთნის პროცესში უდავოდ კარგ შედეგებს იძლევა ვიდეომაგნიტოფონის გამოყენებაც, მაგრამ უშუალოდ შეჯიბრებისწინა პერიოდში მწვრთნელი უნდა ერიდებოდეს ნაკლოვანი მხარეების მკვეთრ გაანალიზებას, ვინაიდან ზოგიერთ სპორტსმენზე იგი უარყოფით, დამთრგუნველ ზეგავლენას ახდენს, უმჯობესია ამ ნაკლოვან მხარეებზე— ტექნიკურ თუ ტაქტიკურ წუნზე რბილ, კეთილმოსურნეობის ფორმებში მითითება. სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მწვრთნელი მოვალეა ყოველი კონკრეტული შეჯიბრებისათვის მზადების პროცესში ითვალისწინებდეს ამ შეჯიბრების პირობებსა და მოსალოდნელ სიძნელეებს. ამისათვის საჭიროა მან დროულად შეისწავლოს ტრასის რელიეფი, შესაძლო კლიმატური სიურპრიზები, მონაწილეთა შემადგენლობა, ზოგ შემთხვევაში მაყურებლის შესაძლო რეაქციაც კი.

იმ მიზნით, რომ სამთომოთხილამურეს ჩავუნერგოთ რწმენა იმისა, რომ მას წარმატებით შეუძლია იასპარეზოს ყოველგვარ პირობებში, საჭიროა საწვრთნელი მეცადინეობები და საკონტროლო სტარტები პერიოდულად ტარდებოდეს მძიმე კლიმატურ პირობებში: თოვლდნობასა და ძლიერ ყინვაში, ძლიერ ქარსა და თოვლცვენისას, ყინულიან და ციცაბო ფერდობებზე, ეს არა მარტო შეაჩვევს სპორტსმენს შეეგუოს გართულებულ პირობებს, არამედ მისი მორალურ-ნებელობითი აღზრდის კარგი საშუალებაც იქნება.

წვრთნისა და შეჯიბრების წინა პერიოდში ხშირად სპორტსმენს შეემჩნევა სათხილამურო ინვენტარისადმი უნდობლობა, რაც საწვრთნელ მეცადინეობებზე და მეორეხარისხოვან შეჯიბრებებში ამ ინვენტარის მრავალგზისი გამოცდით უნდა გაქარწყლდეს. ეს უნდა კეთდებოდეს დროულად და არა ექსპერიმენტის სახით უშუალოდ შეჯიბრების წინ. ხშირ შემთხვევაში მსგავს ეჭვს სპორტსმენი თავის ძალებში დაურწმუნებლობის საფარად იყენებს. მწვრთნელმა უნდა შეძლოს ამ ფსევდოშეშფოთების გარჩევა იმ სერიოზული შეშფოთებისაგან, რომელსაც სამთომოთხილამურე განიცდის ნამდვილად უხარისხო ინვენტარის გამო. ამ შემთხვევაში აუცილებელია დროულად დავეხმაროთ სპორტსმენს, რადგან ეჭვები და უიმედობა, როგორც წესი, უარყოფითად მოქმედებს სპორტსმენის ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

თუ საკუთარი თავისადმი რწმენის შესუსტება დაკავშირებულია საშეჯიბრო ტრასების უჩვეულო პირობებთან, საჭიროა სამთომოთხილამურე დროულად შევაჩვიოთ მათ, მაგრამ თუ ეს არ ხერხდება, უნდა გამოვძებნოთ ანალოგიური ტრასები და იქ ჩავატაროთ საწვრთნელი მეცადინეობები.

ტრასა და მისი რთული მონაკვეთები საფუძვლიანად უნდა იყოს დამუშავებული, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სპორტსმენის რწმენას თავისი თავისადმი და აქედან გამომდინარე მის სპორტულ მაჩვენებლებს. სამთომოთხილამურისათვის საშეჯიბრებო ტრასების დროული გაცნობა გარანტიაა იმისა, რომ მთლიანად მოეხსნას ეჭვი თავისი ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური შესაძლებლობისადმი და შიში გარკვეული ტრასის ან მისი რთული მონაკვეთების მიმართ. საჭიროა სპორტსმენს გავახსენოთ წარმატებითი სტარტები, ყურადღება გავამახვილოთ ძლიერ მხარეებზე და ა. შ. ამ შემთხვევაში კარგ შედეგს იძლევა ე. წ. იდეომოტორული წვრთნა, ანუ ტრასის გონების თვალით გავლა. ამ დროს სპორტსმენი ეთიშება მომავალ შეჯიბრებებთან დაკავშირებულ უსიამოვნო განცდებს, რაც აწესრიგებს მის ფსიქიურ მდგომარეობას.

ზოგიერთი სპორტსმენი (განსაკუთრებით ახალგაზრდები) შიშის გრძნობას (მეტადრე სწრაფდაშვების ტრასისადმი) რამდენადმე ძნელად გადალახავს ხოლმე. ამ დროს მწვრთნელმა უნდა გაზარდოს საკონტროლო შეჯიბრებების რაოდენობა და სპორტსმენს მისცეს კონკრეტული დავალებები, რაც უზრუნველყოფს ტრასების გავლის ინტენსივობის გაზრდას და ძირითად მეტოქეზე გამარჯვების მიზნის დასახვას. კარგ შედეგს იძლევა მეორეხარისხოვან შეჯიბრებებში ხშირი მონაწილეობაც. საერთოდ, მთავარი სტარტების წინ დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში მონაწილეობის საკითხს სიფრთხილით უნდა გადაწყვეტა, ვინაიდან წარუმატებლობის შემთხვევაში სპორტსმენმა შეიძლება მიიღოს ფსიქიკური ტრავმა, რაც კიდევ უფრო დაუქვეითებს საკუთარი თავისადმი რწმენას და რომლის გამოსწორებაც შემდგომ ძალიან გაძნელდება.

მსგავსი უსიამოვნო გრძნობებისა და შიშისაგან განკურვნის ერთ-ერთი რეცეპტია სპორტული ოსტატობის დონის ამაღლება და ამ რთული მონაკვეთების და მკვეთრი მოსახვევების მრავალჯერ გავლა წაქცევისა და შეფერხების გარეშე. ამ ამოცანის გადაჭრას უნდა დაეთმოს რამდენიმე საწვრთნელი მეცადინეობა, საჭიროა მოსალოდნელ საშეჯიბრებო ტრასებთან შედარებით უფრო ძნელი მონაკვეთების შერჩევა და არსებულის გართულებაც. გართულება უნდა ხდებოდეს თანამიმდევრულად. მხოლოდ ნაკლებად რთული მონაკვეთის მყარად ათვისების შემდეგ შეიძლება უფრო რთულზე გადასვლა.

საერთოდ შიშის საბოლოოდ დასაძლევად შეიძლება გამოვიყენოთ მეთოდი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ წინასაშეჯიბრებო უკანასკნელი წვრთნის ეტაპზე სპორტსმენმა დაძლიოს იმაზე რთული ტრასა, ვიდრე შეჯიბრებაზე მოუწევს. ეს შექმნის იმის პირობას, რომ მოთხილამურე საკმაოდ დამშვიდებული შეხვდეს შეჯიბრების პროცესს.

კონკრეტული მეტოქის მიმართ შიშის დაძლევა ყველაზე უფრო ეფექტურად წყდება მისი ძლიერი და სუსტი მხარეების საფუძვლიანი ანალიზით, მასთან პაექრობის ოპტიმალური ტაქტიკის შემუშავებით. ამ დროს სპორტსმენმაც და მწვრთნელმაც უნდა გაითვალისწინონ ტრასის სირთულე, კლიმატური პირობები, სასტარტო განრიგი (სპეციალურ სლალომსა და გიგანტურ სლალომში ცდების მიხედვით), ამასთან, მეორე ცდის წინ ადრინდელი ტაქტიკური მონახაზი შეიძლება მთლიანად შეიცვალოს. ამ დროს მწვრთნელის რჩევა-დარიგებები განსაკუთრებულ, ხშირად გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს საბოლოო შედეგის მისაღწევად, რადგან მეორე ცდის წინ მწვრთნელს დროც საკმარისად აქვს და პირველი ცდის შედეგების მიხედვით გასაანალიზებელი მასალაც (როგორც ძირითად მეტოქეებზე, ასევე მის აღსაზრდელებზე). მას საჭირო კორექტივები შეაქვს თავის გადაწყვეტილებებში შექმნილი კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით.

ზოგჯერ მწვრთნელმა, რომელიც სპორტსმენისათვის ძირითად ავტორიტეტულ პიროვნებად რჩება, თავის აღსაზრდელს დამოუკიდებლად უნდა გააანალიზებინოს შექმნილი სიტუაცია და სათანადო გადაწყვეტილებებიც მიაღებინოს. ამ მიზნით მაგალითად დასაშვებია სპორტსმენმა ჯერ თვითონ შეარჩიოს საცხი და შეიმუშაოს ტრასის გავლის ტაქტიკური მონახაზი, მაგრამ თუ მწვრთნელი ჩათვლის, რომ სპორტსმენის გადაწყვეტილება აშკარად მცდარია, მან სათანადო რჩევა უნდა მისცეს სპორტსმენს. ამასთან, მწვრთნელი მაქსიმალურად უნდა ერიდოს კატეგორიული ტონის გამოყენებას, განსაკუთრებით გამოცდილ სამთომოთხილამურეებთან.

სპორტსმენის წარუმატებელი სტარტის შემთხვევაში მწვრთნელი ვალდებულია მარცხის გაანალიზების დროს, როცა ირკვევა მარცხის მიზეზები და ისახება მათი აღმოფხვრის გზები, დაამშვიდოს და გაამხნევოს სპორტსმენი.

წარუმატებლობის დროს მწვრთნელს მოეთხოვება განსაკუთრებული ტაქტის გამოვლენა, ვინაიდან ზოგიერთი ზედმეტად თავმოყვარე და ამაყი სპორტსმენი წაგების შემდეგ მიუკარებელი და შესამჩნევად წყენია ხდება. თუ მწვრთნელი სპორტსმენისათვის ამ მძიმე ვითარების დროს გამონახავს გზას მისი სულიერი მდგომარეობის გამოსასწორებლად, იგი სპორტსმენის ნდობასა და პატივისცემას დაიმსახურებს, იქნებ უფრო მეტს, ვიდრე გამარჯვებათა სერიების შემდეგ.

ფ. ნავერიანი,
საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სათხილამურო სპორტისა და ალპინიზმის კათედრის გამგე.

ადამიანი და მისი საქმეები

ველოსიპედი, ჩემი სიყვარული!

ძრავის ჩართვა და მანქანა მოწყდა ადგილს, მაგრამ იქვე გაჩერდა, არ დაემორჩილა „მომთვინიერებელს“. გაჩერდა და ჩაჩუმდა. მძღოლი დამნაშავე მოწაფესავით თვალებს ხრის.

— სხვა დროს მოხვალთ, უკეთ მოემზადეთ, თქვენ ხომ დიდ გზაზე გასვლას აპირებთ, მაშ აქედანვე იფიქრეთ მოსალოდნელ შედეგებზე! — ეუბნება საგამოცდო კომისიის წევრი ოთარ სუჯაშვილი და ავტომოყვარულთა საგამოცდო უწყისში უბრალოდ წერს: „ვერ ჩააბარა“.

— რა მომივიდა, როგორ დავიბენი, თითქოს პირველად მივუჯექი საჭეს. ხომ მეუბნებოდნენ, ეს სამთვლიანი ველოსიპედი არ გეგონოსო, — ბუზღუნებდა მანქანიდან გადმოსული ახალგაზრდა.

ამ სცენის მოწმე თვითონ გახლდით და შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ ეპიზოდის აღწერით დავიწყე თხრობა მანქანაზე, ველოსიპედზე და ადამიანზე, რომლისთვისაც ტრანსპორტის ეს ორი სახეობა გადაადგილების საშუალებაზე უფრო მეტს ნიშნავს.

...აი, უკვე რამდენიმე წელია კომუნისტი ო. სუჯაშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოში მუშაობს. მანამდე სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომექანიკურ ფაკულტეტზე, მუშაობდა მწვრთნელად ველოსპორტში და, რა თქმა უნდა, აქვს საკუთარი სპორტული ბიოგრაფია. მაგრამ მოდით ვიყოთ თანმიმდევრულნი...

— 50-იანი წლების ბოლოს განსაკუთრებით მწვავედ დადგა რესპუბლიკაში ველოსპორტის შემდგომი განვითარების საკითხი, — ამბობს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გურამ ჯოხაძე. — ვეტერანთა წასვლამ მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენა. საიმედო ცვლა არ ჩანდა, წინ კი სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის საპასუხისმგებლო სტარტები გველოდა. და აი, პერსპექტიული სპორტსმენების მოსაძებნად მე და ჩემი კოლეგა კარლო შენგელია სხვადასხვა რაიონებისაკენ გავუდექით გზას. გავსინჯეთ ბევრი მოზარდი, შერჩეული ბიჭები თბილისში ჩამოვიყვანეთ და მოვაწყეთ სპორტულ სკოლა-ინტერნატში, სადაც მათ ცხოვრების, სწავლისა და ოსტატობის ამაღლების საშუალება ჰქონდათ.

იმ ხანებში ჩვენ თავი მოვუყარეთ კარგ მეგობრულ გუნდს, რომელშიც ირიცხებოდნენ ომარ ფხაკაძე ქუთაისიდან, გივი კაველაშვილი და ლევან სუთიძე ლაგოდეხიდან, ფირუზ ჩქარეული, თამაზ გელაძე, ოთარ სუჯაშვილი ყაზბეგის რაიონიდან, თბილისელი დავით გეგეშიძე და სხვები. ისინი მთელი სერიოზულობით გრძნობდნენ პასუხისმგებლობას. წარმატებებიც მალე მოვიდა. 1961 წელს, საკავშირო მასშტაბის პირველ შეჯიბრებაზე — მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ბაქოში — საქართველოს ველოსიპედისტთა ნაკრებმა III ადგილი დაიკავა. თავი გამოიჩინეს და სპეციალისტთა ყურადღება მიიქციეს ო. ფხაკაძემ, ო. სუჯაშვილმა, გ. კაველაშვილმა, დ. გეგეშიძემ და ე. მელქოევმა, რომლებიც უძლიერეს ათეულში მოხვდნენ. მომდევნო წელს ტალინში გამართულ მოსწავლეთა ზონალურ სპარტაკიადაზე ჩვენმა ბიჭებმა გუნდური I ადგილი დაიკავეს. ოთარი თავისი ფიზიკური მონაცემებით იმედისმომცემი, პერსპექტიული სპორტსმენი იყო. ძალა, გამძლეობა, შრომისმოყვარეობა — ამ თვისებების წყალობით იგი არაერთხელ გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი, როგორც იუნიორთა, ისე მოზრდილთა შორის, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობების გამარჯვებული და პრიზიორი, ქვეყნის ჩემპიონი იუნიორთა შორის, სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრების წევრი ოთარი თავის მეგობრებთან ომარ ფხაკაძესთან ერთად საქართველოს ნაკრების სული და გული იყო. აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ მან „სპარტაკში“ დაიწყო მწვრთნელად მუშაობა, მალე საზოგადოების უფროსი მწვრთნელი გახდა და რესპუბლიკის არაერთი ჩემპიონი გაზარდა. მათ შორის ხახიაური, კობალაძე და სხვები. შემდეგ იგი დანიშნეს რესპუბლიკის ნაკრების უფროს მწვრთნელად. 5 წლის განმავლობაში ედგა სათავეში ნაკრებს. დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა. მაშინ ჩვენი გუნდი კარგად გამოდიოდა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. ამ პერიოდში ომარ ფხაკაძემ, ქვეყნის ამ საუკეთესო სპორტსმენმა მსოფლიო ველოსპორტში სერიოზული განაცხადი გააკეთა.

მეტი რა უნდოდა ადამიანს, რომელსაც ყველაფერი საუკეთესოდ აეწყო, მაგრამ ოთარ სუჯაშვილი მუდამ ძიებაში იყო. შრომასთან შეთავსებით მან დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომექანიკური ფაკულტეტი და საქმიანობა დაიწყო ახალ სფეროში.

— სპორტული მონაცემების მიხედვით მანქანა და ველოსიპედი მონათესავე სახეობებია. მათ პრაქტიკულად საერთო დანიშნულება აქვთ, — ამბობს ო. სუჯაშვილი.— შევისწავლე რა ველოსიპედის სპეციფიკა, სურვილი გამიჩნდა ძირფესვიანად გავცნობოდი ადამიანის უფრო რთულ მონაპოვარს.

● **გამოდის, რომ მანქანამ თქვენი ცხოვრებიდან განდევნა ველოსიპედი.**

— არავითარ შემთხვევაში, ველოსიპედი ჩემი და მთელი ჩემი ოჯახის სიყვარულის საგანია. მასთანაა დაკავშირებული ყველაზე ლამაზი მოგონებები და გრძნობები. ჩემი გოგონები ველოსიპედით სიარულს საუკეთესო საქმიანობად თვლიან. მანქანა უფრო აუცილებელ საგანს წარმოადგენს, თუმცა ავტოსპორტით რომ ვყოფილიყავი გატაცებული, ალბათ სხვანაირი დამოკიდებულება გამიჩნდებოდა მის მიმართ. უფრო სწორად, მანქანაც და ველოსიპედიც ჩემი ცხოვრების ერთგული მეგზურები არიან.

● **რა საერთო თვისება შეიძლება ჰქონდეთ ველოსიპედისა და ავტომანქანის საჭესთან მსხდომთ?**

— უნდა იყვნენ ყურადღებიანი, არ დაარღვიონ მოძრაობის წესები, მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ სწორედ მძღოლზეა ბევრი რამ დამოკიდებული.

● **საკუთარი სპორტული ბიოგრაფიიდან რომელ ეპიზოდს გაიხსენებდით სიამოვნებით?**

— 1964 წელს წარუმატებლად გამოვედი ქალაქის პირველობაზე. ეს იყო ჩემი პირველი შეჯიბრება მოზრდილთა შორის. მწვრთნელი მოვიდა ჩემთან, საყვედურის ნაცვლად მეგობრულად დამარტყა მხარზე ხელი და გამამხნევა. მივხვდი, რომ მას ჩემი წარმატებისა სჯეროდა. დავიწყე ვარჯიში. როგორც იტყვიან, დღე და ღამეს ვასწორებდი. ჩემი მეგობარი ომარ ფხაკაძე ხუმრობით მეტყოდა ხოლმე: შენ ალბათ ძილშიც ველოსიპედზე ზიხარო. და აი, დაიწყო რესპუბლიკის ჩემპიონატი. ჩემში ყველაფერი დუღდა. ჯერ კიდევ სასტარტო ხაზზე მქონდა წარმოდგენილი ფინიში, მახსოვდა მწვრთნელის ყველა დარიგება, მისკენ მივბრუნდი, ვხედავ გამამხნევებლად მიღიმის — ეტყობა, სწორად ვზივარ, ეს უკვე კარგია. მაგრამ უცბად ყველა დაიძრა, მე კი სასტარტო გასროლაც ვერ გავიგონე. გიჟივით ავამოძრავე ფეხები და მალე შევუერთდი პირველობისთვის მებრძოლთ. ფინიშთან უკვე ყველა ჩემპიონობას მილოცავდა.

● **ახლა თქვენ მილიციის უმაღლეს სკოლაში სწავლობთ, რაც კანონზომიერი ნაბიჯია, ვინაიდან ამ სფეროში მუშაობთ, იქნებ თქვენ სხვაგვარად ახსნათ?**

—მინდა სრულყოფილად შევისწავლო საყვარელი საქმე, რათა ნაკლები შეცდომები დავუშვა და სხვებსაც ავაცდინო თავიდან მარცხი.

ო. სუჯაშვილი თავისი საყვარელი სპორტის სახეობის ერთგული დარჩა. გასაკვირი არ არის, რომ მის მეგობრებს ვერ წარმოუდგენიათ იგი სპორტის გარეშე. ველოსპორტის საქალაქო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ო. სუჯაშვილი მოვლენების ცენტრში ტრიალებს, არ გამორჩება არც ერთი შეჯიბრება, ეხმარება მეგობრებს. სხვანაირად არც შეიძლება! ამიტომ არავის უკვირს, როცა ოთარი დიდხანს და ყურადღებით აცქერდება შემთხვევით გამვლელ ველოსიპედისტს, შემდეგ კი თავისთვის პროფესიულ შენიშვნას უკეთებს: „ყოჩაღ“ ან კიდევ: „სუსტია“.

ა. ზენკო.

ფეხბურთი — 84 ფეხბურთი — 84 ფეხბურთი — 84

„ნედელიას“ პრიზზე

წლეულს ჩვენს ქვეყანაში ეწყობა ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი ყოველკვირეულ „ნედელიას“ პრიზზე.

პირველი ასეთი შეჯიბრება 1981 წელს გაიმართა მოსკოვში, ცსკა-ს დარბაზში. მაშინ გამარჯვება წილად ხვდათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებს.

1982 წელს ტურნირი კვლავ ცსკა-ს სპორტკომპლექსში მიმდინარეობდა. ტურნირის პრიზი — „ბროლის ბურთი“ მოიპოვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა, რომლებმაც გადამწყვეტი მატჩი მოუგეს იტალიის ნაკრებს — 4:0.

„ნედელიას“ შარშანდელი ტურნირი გაიმართა ლენინგრადში. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება კვლავ სსრ კავშირის პირველმა გუნდმა მოიპოვა, რომელმაც ქულით გაუსწრო ძირითად მეტოქეს — საფრანგეთის ნაკრებს.

ჭაბუკ ფეხბურთელთა წლევანდელი ტურნირი „ნედელიას“ პრიზზე კვლავ ლენინგრადში გაიმართება, ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ-საკონცერტო კომპლექსში, შეჯიბრებაში მონაწილეობენ სსრ კავშირის პირველი და მეორე კოლექტივები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთისა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბელგიის ნაკრები გუნდები.

საკავშირო ტელევიზია [illegible] ყობს ამ საინტერესო [illegible] ცალკეულ შეხვედრათა ტელერეპორტაჟს. 4 იანვარს 15 საათსა და 55 წუთზე ვნახავთ საფრანგეთისა და აშშ-ს გუნდების შეხვედრას, ამავე დღეს 20 საათზე გვაჩვენებენ სსრ კავშირის I ნაკრებისა და ბელგიის გუნდის თამაშს. 6 იანვარს 20 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან გფრ — ბელგია, ხოლო 20 საათსა და 55 წუთზე — სსრ კავშირი-1 — საფრანგეთი. 8 იანვარს 18 საათსა და 55 წუთზე დაიწყება გფრ—საფრანგეთის, ხოლო 18 საათზე და 55 წუთზე — სსრ კავშირი-I — აშშ-ის მატჩები. (ყველა გადაცემა საკავშირო ტელევიზიით მე-2 პროგრამით მოხდება, მატჩების დასაწყისი აღნიშნულია თბილისის დროით).

„სიჭაბუკის თასზე“

სექტემბრიდან დეკემბრამდე გაგრძელდა მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური შეჯიბრება „სიჭაბუკის“ თასზე, რომელშიც მონაწილეობდნენ რაიონებისა და ქალაქების სპორტსკოლების, სპორტსაზოგადოებათა და უწყებების, აგრეთვე, ფიზკულტურული კოლექტივების ნორჩთა გუნდები (1969-70 წლებში დაბადებულნი).

ზონებში წარმატებით ჩატარებული თამაშების შემდეგ ფინალის საგზურები მოიპოვეს ცხაკაიას, ჩოხატაურის, თერჯოლის, ახალქალაქის, თელავის რაიონების გუნდებმა, გორის სპორტსკოლამ, ქუთაისის „მართვემ“, რუსთავის „ფოლადმა“ და „არიშმა“. მათ შეუერთდებიან აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის, აგრეთვე, თბილისის ზონებში გამარჯვებული გუნდები, ფინალში სულ იასპარეზებს 16 კოლექტივი.

ფინალში მეტოქეები ერთმანეთს შეხვდებიან 2 წრედ, საკუთარ მინდორზე და სტუმრად. გადამწყვეტი ასპარეზობა დაიწყება 1 აპრილს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მეტად საჭირო და საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში მონაწილეობას თავი აარიდეს აბაშის, თეთრი წყაროს, სიღნაღისა და წალკის რაიონებმა, აქაურ ჭაბუკ ფეხბურთელებს საშუალება არ მისცეს ფართო ასპარეზზე გამოეცადათ თავიანთი ძალები. ამ რაიონების სპორტულმა ხელმძღვანელებმა საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციონ, რათა მომავალ გათამაშებაში მაინც გამოიყვანონ თავიანთი გუნდები.

ი. გოგორაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

მ. პლატინი — „ოქროს ბურთის“ მფლობელი

პარიზი, 27 დეკემბერი. ევროპის 1983 წლის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს საფრანგეთის ეროვნული ნაკრების კაპიტანი **მიშელ პლატინი,** რომელიც ახლა იტალიის ქ. ტურინის „იუვენტუსში“ თამაშობს. მან პარიზის ყოველკვირეულ გაზეთ „ფრანს ფუტბოლის“ ტრადიციულ კონკურსში დიდი უპირატესობით გაუსწრო კონკურენტებს, დააგროვა 110 ქულა, მაშინ, როცა II ადგილზე გასულმა შოტლანდიელმა კენი დაგლიშმა მხოლოდ 26 ხმა მიიღო, ხოლო დანიელმა ალან სიმონსენმა (III ადგილი) — 25.

ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთა ათეულში VI-VII ადგილები გაიყვეს მეკარეებმა — სსრ კავშირის ნაკრების წევრმა რინატ დასაევმა და ბელგიის ნაკრების მეკარემ ჟან-მარი პფაფმა, რომლებმაც 15-15 ქულა დააგროვეს.

„ფრანს ფუტბოლი“ კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელს 1956 წლიდან ავლენს ევროპის ავტორიტეტულ სპორტულ გამოცემათა მიმომხილველების გამოკითხვის შედეგად. „ოქროს ბურთის“ პირველი მფლობელი იყო გამოჩენილი ინგლისელი ფორვარდი ს. მეტიუზი. მომდევნო წლებში ლაურეატები იყვნენ ა. დი სტეფანო (ესპანეთი), რ. კოპა (საფრანგეთი), ლ. სუარესი (ესპანეთი), ო. სივორი (იტალია), ი. მასოპუსტი (ჩეხოსლოვაკია), დ. ლოუ (შოტლანდია), ეუსებიო (პორტუგალია), რ. ჩარლტონი (ინგლისი), ფ. ალბერტი (უნგრეთი), ჯ. ბესტი (ჩრ. ირლანდია), ჯ. რივერა (იტალია), გ. მიულერი (გფრ), ი. კრუიფი (ჰოლანდია), ფ. ბეკენბაუერი (გფრ), ა. სიმონსენი (დანია), კ. კიგანი (ინგლისი), კ-ჰ. რუმენიგე (გფრ). „ოქროს ბურთს“ სამჯერ ფლობდა იოჰან კრუიფი.

საბჭოთა ფეხბურთელთაგან „ოქროს ბურთი“ 1963 წელს მოიპოვა ლ. იაშინმა და 1975 წელს — ო. ბლოხინმა. შარშან პრიზს ფლობდა იტალიელი პაოლო როსი.

• • •

სურათზე: მ. პლატინი.

„სტადიონის“ ანკეტით

პრაღის ჟურნალ „სტადიონის“ მიერ ჩატარებული ანკეტით ჩეხოსლოვაკიის № 1 ფეხბურთელად აღიარეს ცნობილი თავდამსხმელი ვიზეკი (პრაღის „დუკლა“). მომდევნო ადგილები მიეკუთვნათ მცველებს იურკემიკსა (ბრატისლავის „ინტერი“) და ფიალას (პრაღის „დუკლა“).

ჯარიმა — 6 ათასი დოლარი

ტურინის „იუვენტუსის“ მცველს კლაუდიო ჯენტილეს ფეხბურთის მოყვარულები კარგად იცნობენ როგორც „მომღიმარე მჩხვლეტს“. მან ახლა თავი გამოიჩინა, როგორც.. კონტრაბანდისტმა. „იუვენტუსი“ პოლონეთიდან შინ ბრუნდებოდა, როცა ჯენტილეს აღმოუჩინეს რამდენიმე ხატი, მათი გატანა ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ კი სასტიკად აკრძალულია. ჯენტილეს ეს ხატებიც ჩამოართვეს და 6 ათასი დოლარითაც დააჯარიმეს.

დაბრუნდი, ყველაფერს მოვაგვარებთ!

სამხრეთკორეელმა ფეხბურთელმა ბუმ კუნ ჩამ გფრ-ის ბუნდესლიგაში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. მაგრამ თუ მინდორზე იგი მეტად აქტიური და ამავე დროს პუნქტუალური იყო, ცხოვრებაში ყველაფერი აურდაურია, სპეკულაციაშიც გაერია და პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად დასავლეთ გერმანიიდან სადღაც გადაიკარგა.

თუმცა, ბუმ კუნ ჩა მაინც არ დაივიწყეს. „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“ სამხრეთ კორეაში სპეციალური ემისრებიც კი გაგზავნა გადაკარგული ფეხბურთელის მოსაძებნად. ჰამბურგელებმა ბუმ კუნ ჩას შეუთვალეს, რომ თუ იგი ამ კლუბში დაიწყებს თამაშს, მის აწეწილ საქმეებს საბოლოოდ მოაგვარებენ.

ვენგლოშ — პივარნიკის „დუეტი“

პორტუგალიის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს, ლისაბონის „სპორტინგს“ სათავეში უდგას ჩეხოსლოვაკიელ მწვრთნელთა „დუეტი“. მთავარი მწვრთნელია ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელი ვენგლოში, მას ეხმარება წარსულში კარგად ცნობილი ფეხბურთელი, ევროპის 1978 წლის ჩემპიონი პივარნიკი.

რას ნიშნავს „ადმირა“?

ავსტრიის პირველი ლიგის კლუბ „ადმირას“ (ვენა) ხელმძღვანელობამ თავისი ფეხბურთელები დაავალდებულა იარონ „მჭევრმეტყველებისა და კარგი ტონის“ გაკვეთილებზე, რათა ტელევიზიით გამოსვლისას სათანადო შთაბეჭდილება დატოვონ მაყურებლებზე. „ნუ დაგვავიწყდებათ, — უთხრა მათ კლუბის დირექტორატის წარმომადგენელმა, — რომ „ადმირა“ ნიშნავს „ღტაცების გამომწვევს, აღტაცების ღირსს“.

მაგრამ ვენელი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ „ადმირა“ მინდორზე სულაც არ ახდენს „აღტაცების ღირსის“ შთაბეჭდილებას. იგი გათამაშების ბოლოში მიჩანჩალებს და თუ კი რამით გამოირჩევა, ეს მხოლოდ და მხოლოდ უხეშობით.

ასეთია არგენტინული რეკორდი

არგენტინის ნაკრების მეკარე გატის („ბოკა ხუნიორსი“) დებიუტი ჰქონდა 1962 წელს და მას შემდეგ თითქმის შეუცვლელად თამაშობს. ამ გუნდში მან დღემდე ჩაატარა 623 მატჩი. გატი 39 წლისაა და ჯერ არ აპირებს თავი დაანებოს ფეხბურთს.

ორი პრეტენდენტი

წლეულს ზაფხულში უეფა-ს კონგრესმა ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიოს. მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ამ თანამდებობაზე აირჩევენ პირველ ვიცე-პრეზიდენტს ჟ. ჟორჟს (საფრანგეთი), რომელიც ა. ფრანკის გარდაცვალების შემდეგ პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს. არის სხვა მოსაზრებაც, რომ უეფა-ს პრეზიდენტი გახდება გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ჰ. ნოირბერგერი. ორივე პრეტენდენტი უახლოეს ხანებში წამოაყენებს თავის კანდიდატურას.

„ბიძია იოჰანი“

როტერდამის „ფეიენოორდის“ საფეხბურთო კლუბის მწვრთნელი ლამბრეჰტი თავისი კლუბის დირექტორატს პირველ ადგილს დაპირდა. ეს ოპტიმისტური განცხადება ლამბრეჰტმა იმის საფუძველზე გააკეთა, რომ 37 წლის ი. კრუიფის სახით გუნდმა დიდი ძალა შეიძინა.

ი. კრუიფს „ფეიენოორდის“ მოთამაშეები „ბიძია იოჰანს“ უწოდებენ. ვეტერანი თამაშის კლასით დიდად აღემატება თანაკლუბელებს, შესანიშნავად დირიჟორობს გუნდს და გოლებიც საკმარისად გააქვს.

ფეხბურთი — 84 ფეხბურთი — 84 ფეხბურთი — 84

ბაკურიანი -84

1984 წლის პირველი და მომდევნო თვეები მდიდარი იქნება ზამთრის სახეობათა ასპარეზობებით. „თეთრ მარგალიტად“ წოდებულ დაბა ბაკურიანში 14-16 იანვარს გათამაშდება ჩვენი ქვეყნის თასი 1968-1969 წელს დაბადებულ მოზარდთა შორის, 17-18-ში აქვე გაიმართება საკავშირო შეჯიბრება სათხილამურო რბოლაში — „ბაკურიანის პრიზზე“, 23-26-ში კი ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მრბოლები (ვაჟები 15 და 30 კმ-ზე, ხოლო ქალები 5 და 10 კმ-ზე) შეეცილებიან ერთმანეთს პირველობას. ეს იქნება სარაევოს XIV ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის საბჭოთა სპორტსმენების მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი.

• • •

სურათებზე: ბაკურიანის ტრასებზე.

ოთხი ტრამპლინის ტურნირზე

დაიწყო „მფრინავ მოთხილამურეთა“ ტრადიციული საახალწლო ასპარეზობა „ოთხი ტრამპლინის ტურნირი“, რომელიც უკვე 32-ედ ტარდება. შეჯიბრებამ სტარტი დასავლეთგერმანიის ქალაქ ობერსდორფში აიღო. ეს დღე გდრ-ს მხტომელი კ. ოსტვალდის გამარჯვებით აღინიშნა. იგი 109, 114 მეტრზე გადახტა (220,7 ქულა). მომდევნო ადგილებზე მისი თანაგუნდელი ი. ვაისფლოგი — 213,5 (106,5;111 მ) და ნორვეგიელი ულე-გუნა ფიდესტელი — 199,5 (109;102,5 მ) გავიდნენ.

ტურნირის მეორე ეტაპზე კი ყველას ი. ვაისფლოგმა აჯობა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი მეორე ნახტომი — 108. მან 4 მეტრით გააუმჯობესა 90-მეტრიანი ტრამპლინის რეკორდი, რომელიც მსგავს ასპარეზობაში ახალგაზრდა ფინელმა მოთხილამურემ მ. ნოკიანენმა დაამყარა.

● თავისუფალი ჭიდაობა

ჭაბუკთა საქალაქო

თბილისის ფალავანთა კლუბში გაიმართა ჭაბუკთა საქალაქო პირადგუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს გ. ივანიშვილმა, გ. ჩიკვილაძემ (ორივე — განათლების სამმართველო), გ. ჭუმბურიძემ („განთიადი“), ზ. ბასიშვილმა, რ. ლუხუტაშვილმა (ორივე — „შრომითი რეზერვები“), ზ. ბერიაშვილმა („დინამო“), ლ. ელოშვილმა („ბურევესტნიკი“), რ. ხარებაშვილმა („შრომითი რეზერვები“), ჯ. სიხარულიძემ, კ. რუხაძემ (ორივე — „დინამო“), ა. კოკილაშვილმა („ბურევესტნიკი“), ა. კვინიკაძემ (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება).

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა: „შრომითი რეზერვები“, განათლების სამმართველო, „განთიადი“.

ო. შოშიტაშვილი.

● ტყვიის სროლა

არმიელ მსროლელთა მედლები

ლვოვის სასროლო-სპორტულ კომპლექსში დამთავრდა საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის პირველობა ტყვიის სროლაში. ამ შეჯიბრებაში ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენლებმა 6 საპრიზო ადგილი დაიკავეს. თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. დაუშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა სამატჩო პისტოლეტით შავ სამიზნეებზე 50 მეტრზე სროლაში —560 ქულა. მეორე თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ა. მტინიანი მცირეკალიბრიანი შაშხანით „გაქცეულ ტახზე“ (30-30 გასროლა ნელ და სწრაფ სვლაზე) 50 მეტრზე სროლაში 578 (287+291) ქულით იუნიორთა შორის მეორე ადგილზე გავიდა. თავი გამოიჩინა აგრეთვე ორმა ბაქოელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა. პნევმატური იარაღით „გაქცეულ ტახზე“ 10 მეტრზე სროლაში გაიმარჯვა ნ. სუხოვეტჩენკომ — 378 ქულა. ქალთა შორის კომბინირებულ ვარჯიშში — მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებსა და სილუეტებზე 25 მეტრზე სროლაში ლ. ასრიანი III ადგილზე გავიდა — 584 (287+297) ქულა. იუნიორთა პირველობაში წარმატებას მიაღწია ერევნელმა სპორტის ოსტატმა ა. გევორქიანმა, რომელიც უძლიერესი იყო პნევმატური პისტოლეტით 10 მეტრზე სროლაში (382 ქულა), ხოლო სამატჩო პისტოლეტით ასპარეზობაში (551 ქულა) ბრინჯაოს მედალი გადაეცა.

რ. კაცობაშვილი.

„ლელოს“ პასუხი

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში ჩამოსული იყო აშშ-ს პროფესიონალ კალათბურთელთა გუნდი „ჰარლემ გლობტროტერსი“. კარგი იქნება, თუ ამ გუნდზე მოგვითხრობთ.

დ. კვერნაძე, ვ. ჩიხლაძე.
ქუთაისი.

გუნდი კალათბურთის სამშობლოდან

კალათბურთის პირველი პროფესიული გუნდი 1898 წელს ქალაქ ტრენტონში, ნიუ-ჯერსის შტატში ჩამოყალიბდა. იმ წელს შეიქმნა პროფესიულ კალათბურთელთა პირველი გაერთიანება — ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია. მის შემადგენლობაში იყვნენ: ფილადელფია, ნიუ-იორკი, ნიუ-ჯერსი, ბრუკლინი. ლიგამ მხოლოდ ორ წელიწადს იარსება და დაიშალა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროფესიული კალათბურთის აყვავების ხანა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დადგა. 1946 წლიდან ამერიკის კალათბურთის ასოციაცია მართავს თავის ჩემპიონატებს. მისი სახით 1937 წელს ხელახლა აღორძინებული კალათბურთის ერთოვნულ ასოციაციას სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. საქმე იმით დამთავრდა, რომ 1949 წლის ზაფხულში ეს ლიგები გაერთიანდა.

კალათბურთი, როგორც ცნობილია, 1891 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში იშვა. იგი გამოიგონა სპრინგფილდის კოლეჯის (მასაჩუსეტის შტატი) მასწავლებელმა ჯეიმზ ნეისმითმა. დროთა განმავლობაში კალათბურთის თამაშის წესებმა სერიოზული ცვლილებები განიცადა, რაც კალათბურთის განვითარების შედეგი იყო. არის ცნობა, რომ თავდაპირველად ღია მოედნებზე თამაშში მონაწილეობდა 50 კაცი. შემდეგ, როდესაც თამაში დარბაზში გადაიტანეს, მონაწილეთა რიცხვი შემცირდა. დასაწყისში იყო 18 კაცი, ზუსტად იმდენი, რამდენი სტუდენტიც ერთ ჯგუფში იყო. ორ მოწინააღმდეგე გუნდს ადგენდნენ 9-9 კაცის შემადგენლობით. მხოლოდ 1897 წელს გადაწყდა საბოლოოდ, რომ კალათბურთის გუნდში ხუთ კაცს ეთამაშა.

კალათბურთის თამაშის მეორე პირობა, რომელიც 93 წლის განმავლობაში არ შეცვლილა, გახლდათ კალათის სიმაღლე — 3მ და 5 სმ.

პროფესიონალთა თამაშის წესი საკმაოდ განსხვავდება მოყვარულთა თამაშის წესისაგან. პროფესიონალები თამაშობენ 48 წუთს — ოთხი 12-12-წუთიანი ტაიმი. ორი 12-წუთიანი ტაიმის შემდეგ არის 15-წუთიანი შესვენება. ტაიმებს შორის შესვენება 2 წუთს გრძელდება (სხვათა შორის ამ წესით თამაშობდნენ სსრ კავშირის ჩემპიონატზე 1978 წელს). ბურთის ფლობის ხანგრძლივობა პროფესიონალებში 24 წამია, უფრო პატარაა სამწამიანი ზონა. მოყვარულებისაგან განსხვავებით, პროფესიონალებში არსებობს ექვსფოლიანი სისტემა — სპორტსმენი მეექვსე ჯარიმის მიღების შემდეგ ტოვებს მოედანს.

პროფესიული კალათბურთი წარმოუდგენელია სენსაციების, ხმაურიანი რეკლამის და, რაღა თქმა უნდა, ყოვლისშემძლე ბიზნესის გარეშე. ფულის მოხვეჭის სურვილმა პროფესიონალ კალათბურთელებს უბიძგა ტრიუკებისათვის მიემართათ. მატჩები ტარდება ჩაბნელებულ დარბაზში. ბურთი, ფარი და მოთამაშეთა ხელები ფოსფორითაა დაფარული. სწორედ ასეთ, რაღაც საკალათბურთო ცირკის მსგავსს წარმოადგენდა ცნობილი პროფესიული გუნდი „ჰარლემ გლობტროტერსი“. 1959 წელს ეს პროფესიული გუნდი საგასტროლოდ ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში და მაყურებელს საკალათბურთო საოცრებების მთელი კასკადი უჩვენა. სწრაფი გადაცემები ზურგს უკნიდან, ბურთის მუხლებზე დაჩოქილი, ზურგზე დაწოლილი ტარება, კალათში ტყორცნები იატაკიდან ან მუხლიდან ასხლეტით. ეს იყო საკალათბურთო ტრიუკების ჩვენება და ძალიან წააგავდა საკალათბურთო ცირკს, რომელიც ემყარება ფილიგრანულ ტექნიკას, ვირტუოზულ დრიბლინგს, უზადო ტყორცნებს. „ჰარლემ გლობტროტერსში“ თამაშობდა მრავალი ცნობილი კალათბურთელი, რომელთა შორის, ცხადია, ყველაზე კოლორიტული ფიგურა უილტ ჩემბერლენი იყო. აღსანიშნავია, რომ ის მოსკოვის 1959 წლის გასტროლებში მონაწილეობდა.

მ. კალანდაძე.

1984-ის პირველი გამარჯვებულები

1984 წლის ასპარეზობათა პირველი გამარჯვებულის სახელები მოიპოვეს ბრაზილიელმა ჟოაო და მატამ და პორტუგალიელმა ქალმა როსა მოტამ, რომლებმაც ყველას აჯობეს „სან-სილვესტრეს კორიდაში“. მორბენალთა ეს ტრადიციული ასპარეზობის სტარტს ძველი წლის ბოლო წუთებში იღებს და ახალ წელს მთავრდება.

ჟოაო და მატამ 12,6 კილომეტრიანი ტრასა 37.39,19 წამში გაირბინა, როსა მოტამ კი 43.41,60 წამში.

ოლიმპიელის „საიდუმლო“

ბერლინი. რაინხარდტსგრიმში (დრეზდენის ოლქი) მცხოვრები კარლ ნოიმერი უხუცესია ევროპელ ოლიმპიელებს შორის: წლეულს, თებერვალში მას 97 წელი შეუსრულდება. ნოიმერმა 1908 წლის თამაშებზე ვერცხლის ჯილდო დაიმსახურა ტრეკზე გამოდევნებით გუნდურ ველორბოლაში.

ნოიმერი დღესაც ინტერესით ადევნებს თვალს სპორტულ შეჯიბრებებს. აი, რა უთხრა მან „იუნგე ველტის“ კორესპონდენტს: ყოველდღე რეგულარულად 5-7 კილომეტრს ვფარავ. მთელი სიცოცხლის მანძილზე არ მომიწევია არც ერთი სიგარეტი, არც ალკოჰოლი მიზიდავდა. ყოველთვის ვცდილობდი ბევრი მემოძრავა, ესაა მთელი საიდუმლო.

შეამოწმეთ ამოხსნა

„ლელოს“ 25 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული რ. თავარიანის ეტიუდის ამოხსნაა: 1. a8ლ+ ლ×a8 2. b7 ლb8 3. ეg7! ლa7 4. ეh7! ლb6 5. ეh8+ მფc7 6. კe4! მოგებით.

პ. ხიზანიშვილის ამოცანა, რომელიც „ლელოს“ 31 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა, ასე იხსნება: 1. ლe8.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22

უე 06439